

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის

გადაწყვეტილება №002/18

ქ.თბილისი, 20 მარტი, 2018 წელი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის

საპროცესო კოლეგიის ალტერნატიული წევრის დანიშვნის თაობაზე

2018 წლის 20 მარტს მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ ქეთევან უტიაშვილმა მოხსენებითი ბარათით მომართა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, რომლის მიხედვითაც მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარე ქეთევან უტიაშვილი და კოლეგიის წევრი ხათუნა ჩხაიძე თვითაცილების გამო ვერ იღებენ მონაწილეობას დისციპლინური საქმის №004/18-ის განხილვაში.

მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის თხოვნით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ აღნიშნული საქმის განხილვისას კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით №004/18 საქმის განხილვისას ალტერნატიულ წევრად დაინიშნონ გია ტაბლიაშვილი და თორნიკე ბაქრაძე.

ვიხელმძღვანელებ რა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით, საპროცესო კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გია ტაბლიაშვილი და ეთიკის კომისიის წევრი თორნიკე ბაქრაძე დაინიშნონ მესამე დისციპლინურ კოლეგიაში ალტერნატიულ წევრებად დისციპლინური საქმის №004/18 განხილვისათვის საჭირო ვადით.
2. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღებისთანავე.
3. ეთიკის კომისიის აპარატს დაევალოს, გადაწყვეტილების თაობაზე ეთიკის კომისიის შესაბამისი წევრების ინფორმირება.

გია ტაბლიაშვილი

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე